



სტიქია ჭებერში და "ნენსკრაჰესის" მშენებლობის რისკები

access_time 2018-07-06 09:00:00

მთის ჩამონოლისა და გადაუღებელი წვიმის შედეგად 5 ივლისს მდინარე ნენსკრა ადიდდა. სტიქიამ რამდენიმე სოფელი გარესამყაროს მოწყვიტა, დატბორა ჭებერი და საცხოვრებელი სახლები, მდინარე სამანქანე გზაზე მოედინებოდა.

სვანეთში მდინარე იმ ხეობაში ადიდდა, სადაც "ნენსკრა ჰიდრო" ნენსკრაჰესს აშენებს. გარემოს ეროვნულ სააგენტოში სტიქიის გამომწვევ მიზეზებზე ჯერჯერობით არ საუბრობენ. სააგენტოს განცხადებით, გეოლოგები და ჰიდროლოგები სვანეთში გაგზავნეს მიზეზების შესასწავლად.

სტიქიის გამომწვევ მიზეზებთან ჰესის მშენებლობის კავშირს გამოიყენებენ კომპანია, რომელიც ნენსკრაჰესს აშენებს. "ნენსკრა ჰიდროში" აცხადებენ, რომ 2018 წლის დასაწყისიდან დღემდე ნენსკრა ჰესის მოსამზადებელი სამუშაოები არის სრულიად გაჩერებული. "ნენსკრა ჰიდროს" განცხადებით, აღნიშნული სამუშაოები გულისხმობდა მხოლოდ არსებული გზების და ხიდების რეაბილიტაციას.

ნენსკრას ხეობაში არსებულ რისკებზე და ჰიდროელექტროსადგურის პროექტზე კომერსანტი სამი თვის წინ წერდა.

აპირებს თუ არა „ნენსკრა ჰიდრო“ 200 ჰექტარზე გასაჩეხი ტყის სანაცვლოდ ტყის საფარის აღდგენას? სად იქნება ალტერნატიული ადგილი და რა დაჯდება პროექტი? რა ბედი ეწევა „ნენსკრა ჰესის“ აშენების შემდეგ ნაკრას ხეობას და გათვლილია თუ არა რისკები? - ამ და სხვა კითხვებით „კომერსანტი“ კომპანია „ნენსკრა ჰიდროს“ დაუკავშირდა. მიღებული პასუხების შეფასებისთვის კი „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელს დავით ჭიპაშვილს გავესაუბრეთ. გთავაზობთ „ნენსკრა ჰიდროს“ პასუხის პასუხის სრულ ვერსიას.

1. რამდენ ჰექტარზეა საუბარი ტყის აღდგენის კუთხით და რა დრო დასჭირდება გეგმის მიხედვით ტყის აღდგენას?

სპეციალისტების თქმით, ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, იქ არის ხელუხლებელი გარემო, ანუ ბუნებრივი კორომები. რელიეფურად იმდენად რთულია, რომ თავის დროზე აღნიშნულ ტერიტორიაზე სატყეო მეურნეობებიც კი არ იყო დაშვებული და ტყის პირვანდელი სახე იმდენად შენარჩუნებულია, რომ ეს ადგილი დაცული ტერიტორიების ქვეშ უნდა მოექცეს.

„ნენსკრა ჰიდროს“ პასუხი: საპროექტო ტერიტორიაზე არ არის ხელუხლებელი გარემო. კომპანიის მიერ და არამხოლოდ კომპანიის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა რომ საპროექტო ტერიტორიაზე ათწლეულების მანძილზე მიმდინარეობდა ხე-ტყის ჭრა და ტყეები ინტენსიურად ნადგურდებოდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი 2010 წლიდან ამორიცხულია ტყის ფონდიდან. ამასთანავე ხაზგასმითაა აღსანიშნავი, რომ საპროექტო ტერიტორია საკმაოდ მოცილებულია სვანეთის გეგმარებით დაცულ ტერიტორიებს.

დავით ჭიპაშვილი –ის რომ საპროექტო ტერიტორიაზე არ არის ხელუხლებელი გარემო და ამ ადგილას მიმდინარეობდა ხე-ტყის ჭრა, ეს არის მტკნარი სიცრუე. გვაქვს დამადასტურებელი ფოტო და ვიდეო მასალა, სადაც ჩანს, რომ ეს ტყე ხელუხლებელი ტყის მასივებია. ამას ადასტურებს ისიც, რომ ჰიდროელექტროსადგურამდე იქ მისასვლელი გზაც კი არ არსებობდა. ამის გამო ჩვენ საჩივარიც კი გვაქვს ბერნის კონვენციაში შეტანილი. აღსანიშნავია ისიც, რომ 2016 წლამდე ეს ტერიტორია იყო ზურმუხტოვანი ქსელის ნაწილი და ამავე წლის თებერვალში სახელმწიფომ დაუსაბუთებლად ეს ტერიტორიები ამორიცხა ამ დაგეგმილი ტერიტორიებიდან. რაც შეეხება კომპანიის პასუხის ბოლო ნაწილს, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი 2010 წლიდან ამორიცხულია ტყის ფონდიდან. ეს ამტკიცებს იმას, რომ ზუსტად აღნიშნულ წელს დაიწყო „ნენსკრა ჰესის“ შესახებ საუბარი“.

2. სად არის ტყის აღდგენის ალტერნატიული ადგილი და კონკრეტულად რამდენ ჰექტარს მოიცავს? (თუკარარისშერჩეულიანმოხაზული, რაადგილებიგანიხილება?)

„ნენსკრა ჰიდროს“ პასუხი: ტყის აღდგენისათვის ადგილები უკვე შერჩეულია და მათი საერთო ფართობი დაახლოებით ოთხჯერ აღემატება პროექტის ტერიტორიას. დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ ტერიტორიებზე მოცემულია ტყის აღდგენის სტრატეგიის დოკუმენტის შესაბამის თავებში, რომელიც საჯაროა და გამოქვეყნებულია კომპანიის ვებგვერდზე. ნენსკრასა და ნაკრას წყალგამყოფების ქვედა წელში წლების მანძილზე ადგილი აქვს ხე-ტყის უკანონო ჭრას. სწორედ ეს ადგილებია ყველაზე შესაფერისი რგვებისა და ტყის მართვის ღონისძიებების განხორციელებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს უბანი მხოლოდ წინასწარ შერჩეული ტერიტორიაა. ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციების შემდეგ შესაძლოა ტყის აღსადგენად სხვა ტერიტორიებიც შეირჩეს; თუმცა, ეს ტერიტორიები ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში შეირჩევა. შემდგომი კვლევებისას აგრეთვე დადგინდება, თუ რომელ უბნებზე შეიძლება ბუნებრივი რეგენერაციის ხელშეწყობა მართვის ღონისძიებებით და რომელ უბნებზე იქნება საჭირო სანერგეში გამოყვანილი ადგილობრივი სახეობების ნერგების დარგვა.

დავით ჭიპაშვილი - „ეს პასუხი ურთიერთსაინააღმდეგოა ერთმანეთთან, რადგან პირველ ნაწილში კომპანია ამბობს რომ ალტერნატიული ადგილი უკვე შერჩეულია, შემდეგ კი განმარტავს რომ საბოლოო ადგილი ჯერ არ არის შერჩეული. არაადეკვატური პასუხია და მეტი არაფერი. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ზოგადად შეუძლებელია, რომ ვინმემ აღადგინოს ბუნებრივი მდგომარეობით ხელშეუხებელი ტყე. ალტერნატიული ადგილი რომც შერჩეული იყოს და ფართობითაც ოთხჯერ მეტიც რომ იყოს, ეს ვერანაირად ვერ იქნება ბიომრავალფეროვანი თვალსაზრისით ხელუხლებელი ტყის საპირწონე“.

3. იცვლება თუ არა ნაკრასხეობის კალაპოტი ?

ექსპერტების აუბრობენ, რომ მდებარეობის მნიშვნელობა დეფიციტია, პროექტის განხორციელებისთვის ნაკრასხეობები დანამატებზე წყალს ნენსკრაში.

„ნენსკრა ჰიდროს“ პასუხი: ნაკრას ხეობის კალაპოტი არ იცვლება. მდინარე ნაკრადან მართლაც მოხდება გარკვეული რაოდენობის წყლის გადასროლა რეზერვუარში გვირაბის მეშვეობით. გადასატანი წყლის რაოდენობა დაანგარიშებულია შვეიცარიული სტანდარტის შესაბამისად და დამტკიცებულია არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, მათ შორის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სპეციალისტთა მიერ. ჩატარებული კვლევების შედეგად დადასტურებულია, რომ მდინარე ნაკრადან ჭარბი წყლის გადატანა, რომელიც წლების განმავლობაში, წყალდიდობების სეზონზე უზარმაზარ პრობლემას უქმნიდა ადგილობრივ მოსახლეობას, აგრეთვე წყლის ნაკადის მარეგულირებელი ნაგებობის აშენება, რომელიც ასევე პროექტის ნაწილს წარმოადგენს, დადებით ეფექტს იქონიებს.

დავით ჭიპაშვილი - „კალაპოტი ნამდვილად არ იცვლება, მაგრამ აქ საუბარი კალაპოტში წყლის რაოდენობაზე და ე.წ. გარემოს დაცვით ხარჯზე. ხეობის ქვეთა დინებაში დაგეგმილია მდინარის მხოლოდ 5 %-ის დატოვება, რაც ნიშნავს იმას რომ მდინარის ეკოსისტემას ეს შეუქცევად ზიანს მიაყენებს. მდინარე უნდა შეინარჩუნოს თავისი ცვალებადობა მთელი წლის განმავლობაში, ჰესის აშენების შერე კი ეს ცვალებადობა 180 გრადუსით იცვლება. რაც შეეხება „ნენსკრა ჰიდროს“ პასუხს ჭარბი წყლის შესახებ, ეს საერთოდ გაუგებარი ტერმინია. ბუნებაში არ არსებობს არც შვეიცარიული სტანდარტი და არც ტემპერატურა საგრძობად მოიმატებს. რაც თავის მხრივ, ეს აისახება მოსავლიანობაზე და იქ არსებულ პირობებზე. ასეთი რისკი კომპანიას საერთოდ არ აქვს შეფასებული. ერთადერთი ირწმუნებიან, რომ კლიმატი არ შეიცვლება, თუმცა არგუმენტირებული პასუხი არც ამზე აქვთ“

4. თუ გაქვთ გათვლილი რისკები?

„ნენსკრა ჰიდროს“ პასუხი: რისკების გათვლის გარეშე წარმოდგენილია ნებისმიერი, არათუ საშუალო და დიდი მასშტაბის, არამედ მცირე მასშტაბის პროექტის განხორციელებაც, ყველა შესაძლო რისკი გათვლილია და შეფასებულია. დეტალური ანგარიში ასევე საჯარო და განთავსებულია კომპანიის ვებგვერდზე.

დავით ჭიპაშვილი - „ეს პასუხი არ არის. რეალურად, აქ უდიდესი რისკია ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუარესება, რადგან როცა მდინარის ქვედა დინებაში წყალი იქნება მცირე, შეიცვლება ადგილობრივი მიკროკლიმატი. მდინარეში წყალი რომ აღარ იქნება, ის ვერ შეასრულებას გაგრილების ფუნქციას, ანუ ტემპერატურა საგრძობად მოიმატებს. რაც თავის მხრივ, ეს აისახება მოსავლიანობაზე და იქ არსებულ პირობებზე. ასეთი რისკი კომპანიას საერთოდ არ აქვს შეფასებული. ერთადერთი ირწმუნებიან, რომ კლიმატი არ შეიცვლება, თუმცა არგუმენტირებული პასუხი არც ამზე აქვთ“

5. რა დაუჯდება კომპანიის ტყის აღდგენა?

- ტერიტორიის ფართობი, სადაც საჭირო იქნება რგვები
- ტყის ფართობი, სადაც ადგილი ექნება ბუნებრივ რეგენერაციას, თუმცა შესაძლოა საჭირო გახდეს შემოღობვა
- ტყის მართვის გეგმით მოცული დროის პერიოდი, რომელიც გაკლენას ახდენს ჰაბიტატ-ჰექტარის შეფასების შედეგებზე.

დავით ჭიპაშვილი - „აქ საერთოდ ვერაფერს ვიტყვი, რადგან ისეთ პასუხს არ გცემენ, რომ რაიმე კომენტარი გააკეთო. არაფერს აკონკრეტებენ.“

6. კვლევითი გაქვით ჩატარებული ტყის აღდგენის თვალსაზრისით?

(მაგალითად, რამდენად რეალურია ირწმუნებულებური 200 წლიანი ხეების სანაცვლოდ ადგილზე ალტერნატიული ტერიტორიის გაშენება ბიომრავალფეროვ.

პასუხი: 200 წლიანი ხეების არსებობა, ჩატარებული კვლევებით, საპროექტო ტერიტორიაზე არ გამოვლენილია. ტყის აღდგენისათვის საჭირო წინასწარი კვლევები უკვე ჩატარებულია. ზოგადად, კომპანიის მიერ შემუშავებული ტყის აღდგენის სტრატეგიის მიზანია პროექტის ინფრასტრუქტურისა და წყალსაცავის მოწყობის შედეგად დაკარგული ჰაბიტატების კომპენსაცია. დროებით დაკარგული ჰაბიტატებისთვის ცალკე მომზადდება მცენარეული საფარის აღდგენისა და მართვის გეგმა, რადგანაც აღნიშნული ზემოქმედების შერბილება შესაძლებელია; ასეთი ღონისძიებები განხორციელდება მშენებლობის დასრულების შემდეგ, როდესაც აღსადგენ ფართობები ჯერ კიდევ პროექტის განკარგულებაში იქნება.

დავით ჭიპაშვილი - „საქართველოში რამდენჯერმე ჩამოვიდნენ ჩვენი უცხოელი პარტნიორები, „ბალკანეთის ველური ბუნების საზოგადოების“ ექსპერტები მათ ადგილზე დაათვალიერეს ტერიტორია; აქვთ ვიზუალური ფოტომასალაც, თუ რა მაღალი ღირებულების ტყის მასივებზეა ნენსკრას ხეობაში საუბარი. თუნდაც სამშენებლო ბანაკის გამო „ნენსკრა ჰიდროს“ მიერ რომ მოიჭრა რამდენიმე ხე, იქაც კი გამოვლინდა 8 თუ 9 130 წლის და მეტი ასაკის ხეები. ტყე არის მთელი ეკოსისტემა და მას უბრალოდ ხეების დარგვით ვერ აღადგენ. ამიტომ კომპანიის პასუხი, რომ 200 წლოვანი ხე არ გამოვლენილია, სასაცილოა. 150 წლის ხე ნაკლებად ღირებულია?! „კომერსანტის“ შეკითხვზე „ნენსკრა ჰიდროს“ პასუხი არის სრულიად არაადეკვატური“.

7. დაბოლოს, რა ვადები, რამოთხოვნები დარავალდებულებები გათვალისწინებულია ინიციატივის პირობაში ტყის აღდგენისა და გარემოზე ზემოქმედების

პასუხი: ტყის აღდგენასა და ზოგადად გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით კომპანიის მიერ აღებული მოთხოვნები და ვალდებულებები დეტალურადაა მოცემული პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშსა და დამატებით გარემოსდაცვით და სოციალური კვლევების დოკუმენტებში.

დავით ჭიპაშვილი - „გაუგებარია სრულიად. არაფერი საჯარო და კონკრეტული მათ არ აქვთ“.

როგორც „მწვანე არლტერნატივის“ წარმომადგენელმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, „ნენსკრა ჰესი“ ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით ყველაზე დიდ ზიანს აყენებს გარემოს. მისივე თქმით აღნიშნული ტერიტორია, როგორც ერთ-ერთი იშვიათი ადგილი დატანილია მსოფლიოს ხელუხლებელი ტყის რუკაზეც, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის მნიშვნელობას.

დავით ჭიპაშვილი - „შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ „ნენსკრასას ჰიდროელექტროსადგური“ ბიომრავალფეროვანი თვალსაზრისით არის ყველაზე დამანგრეველი ჰიდროელექტროსადგური საქართველოში. თუნდაც „ხუდონ ჰესთან“ რომ შევადაროთ, აქ ძირითადი პრობლემა ის, რომ საბჭოთა კავშირის დროს ჰესის მშენებლობა უკვე დაწყებული იყო და გარკვეული ზიანი ადამიანის მხრიდან განხორციელდა. უფრო

დიდი სირთულეა ხაიშის თემი. ნენსკრასთან მიმართებაში კი სრულიად სხვა სურათია. მისასვლელი გზებიც კი პრაქტიკულად ახლა გაკეთდა, ანუ სრულიად ხელშეუხებელი გარემოა“.

მისივე თქმით, „ნენსკრა ჰესის“ მშენებლობა დამანგრეველია არამხოლოდ ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, არამედ მიუღებელია ქვეყნის ეკონომიკისთვის მაღალი ტარიფებით, კონფიდენციალური ხელშეკრულებებით, და ა.შ. ასევე გაუგებარია რა კავშირი აქვს აღნიშნულ ჰიდროელექტრო სადგურს, რომლის მშენებლობაც სავარაუდოდ 10 წელიწადში დასრულდება, დღეს არსებულ დეფიციტთან ენერგეტიკაში. როგორც დავით ჭიპაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, პროექტი ასევე შესაძლოა გახდეს სერიოზული დაპირისპირების მიზეზი კონფლიქტურ ზონაში, რაც უკვე სხვა პრობლემას წარმოშობს პოლიტიკური თვალსაზრისით.

„გარემოზე ზიანს რომ თავი დავანებოთ, ჰესი უამრავ პრობლემას ქმნის სხვა მიმართულებითაც. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მაინტერესებს 280 მეგავატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური რატომ ჯდება მილიარდ ასი მილიონი აშშ. დოლარი?! ამ პროექტში არ არის არაფერი ისეთი, რაც მის აშენებას გააძვირდება. შედარებისთვის, იგივე „ხუდონის ჰესი“, რომელიც 702 მეგავატი სიმძლავრისაა, (სამჯერ მეტი სიმძლავრე ვიდრე ნენსკრა) ჯდება მილიარდ 200 მილიონი აშშ. დოლარი და ნენსკრას აშენებასაც ანალოგიური თანხა სჭირდება. წარმოუდგენელი სიძვირის პროექტია, თან არ ვიცით ვინ რა ვალდებულებები აიღო ხელშეკრების მიხედვით. ჩნდება კითხვა რატომ?! მე პირადად პასუხს ფულის გათვრებასა და კორუფციის შესაძლო არსებობაში ვხედავ“- განმარტავს ჭიპაშვილი.

ავტორი : სალომე ლემონჯავა